

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების განმახორციელებელ
დაწესებულებებში ინკლუზიური
განათლების უზრუნველყოფის
გზამკვლევი

სპეციალური საგანმანათლებლო
საჭიროების მქონე სტუდენტის
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და
მასთან დაკავშირებული პროცედურები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მასთან დაკავშირებული პროცედურები

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

გზამკვლევზე მუშაობდა მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

2020

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მასთან დაკავშირებული პროცედურები

- რა შემთხვევაში ვადგენთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას
- რა ტიპის ადაპტაციები განისაზღვრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის
- როდის ხდება რეკომენდაციის გაცემა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ
- ვინ იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესახებ
- როდის მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ და როდის იწყება მასზე მუშაობა
- რის გათვალისწინებით განისაზღვრება ინდივიდუალური სწავლის შედეგები / ინდივიდუალური სასწავლო მიზნები
- როგორ ზუსტდება სტუდენტისთვის სწავლის შედეგები / სასწავლო მიზნები
- სად ხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ფორმულირებული სასწავლო მიზნების ასახვა
- როდის ხდება სტუდენტისთვის მომდევნო ინდივიდუალური მიზნის დასახვა
- როგორ ხდება სტუდენტისთვის ყოველი მომდევნო სწავლის შედეგის / მიზნის დასახვა
- როგორი უნდა იყოს სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონის ამსახველი ჩანაწერი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმოების პროცედურები

რა შემთხვევაში ვადგენთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას

ყოველი სასწავლო მოდულის ფარგლებში განსაზღვრულია სწავლის შედეგები. პროფესიული განათლების სტუდენტის ამოცანაა მოდულით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი დაძლიოს მოდულისთვის განსაზღვრული დროის მონაკვეთში და დაადასტუროს მოცემული სწავლის შედეგის მიღწევა.

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დაძლევის პროცესში, რადგან სტუდენტის მზაობა და ცოდნის აქტუალური დონე, არ იძლევა მოცემული სწავლის შედეგების სრულად დაძლევის შესაძლებლობას. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგი შესაძლოა მეტად კომპლექსური აღმოჩნდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის, მოდულით განსაზღვრული დრო არასაკმარისი მოცემული სწავლის შედეგების დასაძლევად ან/და სასწავლო პროცესში სტანდარტულად გამოყენებული სასწავლო მასალა და სტრატეგიები არარელევანტური.

ამ შემთხვევაში, თუკი პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესში რიგიდულად იქნება ორიენტირებული მოდულით განსაზღვრულ სტანდარტულ სწავლის შედეგზე და სასწავლო პროცესზე, შესაძლებელია, მისი ყველა ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდეს, და სტუდენტმა მინიმალური პროგრესიც კი ვერ აჩვენოს.

აღნიშნულის საპირისპიროდ, თუკი სასწავლო პროცესი ორიენტირებული იქნება სტუდენტზე - მის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, სასწავლო პროგრესი სახეზე იქნება. სტუდენტზე ორიენტირებულობა, ხშირად, სტანდარტულად განსაზღვრული სასწავლო პროცესის ცვლილებას და სტუდენტის საჭიროებებზე მის მორგებას გულისხმობს.

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2018), შესაძლებლად მიიჩნევს საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სასწავლო მოდულის გახანგრძლივება კონკრეტული სტუდენტისთვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოდულით განსაზღვრული დროის გახანგრძლივება ყოველთვის არ არის საკმარისი პირობა და გარანტი იმისა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაძლევს (გაუმკლავდება) მოცემულ სწავლის შედეგებს.

ზოგჯერ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს სხვა, დამატებითი ადაპტაციებიც ესაჭიროებათ.

რა ტიპის ადაპტაციები განისაზღვრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის

პროფესიული განათლების მასწავლებლის ამოცანაა, სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზება, რომ ყველა სტუდენტი, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები მაქსიმალურად მიახლოვოს სასწავლო მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რადგან მხოლოდ აღნიშნული სწავლის შედეგების ერთიანად დაძლევის შემთხვევაში იქნება პროფესიული კვალიფიკაციის მიღების წინაპირობა.

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიღწევის დონე უპირატესად დამოკიდებულია სტუდენტის შესაძლებლობებზე.

შედეგად, სრულყოფილად და იდეალურად დაგეგმილ სასწავლო პროცესის პირობებშიც კი, შესაძლებელია სტუდენტმა მინიმალური პროგრესი აჩვენოს, რაც მისი შესაძლებლობებით და რესურსებით იქნება განპირობებული. მიღწევის მოცემული დონე, შესაძლებელია კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის რესურსების რეალიზების მაქსიმუმს წარმოადგენდეს.

შესაბამისად, ხშირად მასწავლებლები სპეციალისტთა დახმარებით - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები, სასწავლო პროცესის ასისტენტები, მიმართავენ სხვადასხვა ტიპის ადაპტაციებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გაზრდისთვის. ადაპტაციების შემთხვევაში იცვლება სტუდენტისთვის სტანდარტულად განსაზღვრული სასწავლო პროგრამა სრულად, ან მასში შემავალი მოდული / მოდულები.

სტანდარტულად განსაზღვრულ სასწავლო პროგრამაში და პროცესში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ადაპტაციის სახელითაა ცნობილი. **სასწავლო პროგრამის ან მასში შემავალი ერთი ან რამდენიმე მოდულის და მასთან დაკავშირებული სასწავლო პროცესის ადაპტაციის შედეგად მიიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.** ადაპტაციები ორგვარია და გულისხმობს სასწავლო პროგრამის / პროცესის აკომოდაციას ან/და სასწავლო პროგრამის / პროცესის მოდიფიკაციას.



აკომოდაციაში მოიაზრება სწავლის შედეგების მიღწევისთვის პროგრამით განსაზღვრული დროის გახანგრძლივება, სასწავლო გარემოს ადაპტაცია, სასწავლო ინსტრუქციების ადაპტაცია, სწავლების სტრატეგიების ცვლილება და ა.შ.


კანონით პროფესიული განათლების შესახებ, დასაშვებია სწავლების დროის გახანგრძლივება, რაც თავის თავად აკომოდაციას წარმოადგენს. სწავლების დროის გახანგრძლივების შესახებ გადაწყვეტილება სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით მიიღება, შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ცვლილების გატარებისას, სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგინდება/მიიღება. ანალოგიურად, იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტისთვის იმაზე მეტი აკომოდაციები განისაზღვრება ვიდრე კანონით პროფესიული

განათლების შესახებ არის დაშვებული, ერთმნიშვნელოვნად სახეზეა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლება.

ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული ღონისძიებები საკმარისად ეფექტიანია და ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს დაძლიოს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც აღნიშნული აკომოდაციები არ არის საკმარისი და ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების სრულ დაძლივას. აღნიშნულ შემთხვევაში, დგება დამატებითი ადაპტაციების განხორციელების საჭიროება. ანუ, პროფესიული განათლების მასწავლებელს უწევს სასწავლო მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მოდიფიკაცია.

მოდიფიკაცია გულისხმობს სწავლის შედეგების დაზუსტებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შესაძლებლობების გათვალისწინებით. აღნიშნულ შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლის ამოცანაა გაითვალისწინოს სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგი და მათზე დაყრდნობით, კონკრეტული სტუდენტისთვის განსაზღვროს რეალისტური მოლოდინები ანუ მიღწევადი სწავლის შედეგები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროფესიული განათლების მასწავლებელმა კონკრეტული სტუდენტისთვის უნდა დააზუსტოს სტანდარტული სწავლის შედეგები ანუ განსაზღვროს სწავლის ინდივიდუალური მიზნები.



მაშასადამე, სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით, მისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია გულისხმობდეს:

- (ა) მხოლოდ აკომოდაციებს (ამ შემთხვევაში, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, დგინდება სწავლების განსხვავებული პირობები, თუმცა, ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრის საჭიროება არ დგება;
- (ბ) მოდიფიკაციებს (ამ შემთხვევაში, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და დგინდება ინდივიდუალური სასწავლო მიზნები);
- (გ) აკომოდაციებს და მოდიფიკაციებს (ამ შემთხვევაში, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - დგინდება ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და სწავლების განსახვავებული პირობები);

სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგების მოდიფიკაციის ანუ ინდივიდუალური სასწავლო მიზნების შემუშავების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუკი სტუდენტისთვის განსაზღვრული მიღწევის დონე სტანდარტით განსაზღვრული მიღწევის დონისგან განსხვავებული იქნება, იკლებს კვალიფიკაციის მიღების ალბათობა. ხოლო, თუკი საბოლოოდ, სტუდენტის მიღწევის დონე არ იქნება სტანდარტით განსაზღვრული მიღწევის დონესთან თანხვედრაში, კვალიფიკაციის მინიჭება არ მოხდება.

ამ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სტუდენტის და / ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება იმის თაობაზე, რომ სწავლის შედეგების მოდიფიცირების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ შესაძლებელია ვერ მოხდეს პროფესიული კვალიფიკაციის მიღებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილება და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება - მიზნების მოდიფიცირება იმთავითვე არ ნიშნავს, რომ სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა სრულიად ქრება. თუმცა, მიზნების მოდიფიცირება, მაგ. მათი ცალკეულ შემადგენლებად დაყოფა და თანმიმდევრულად განსაზღვრა, შესაძლებელია სწორედ ეფექტიანი ხერხი იყოს იმისთვის, რომ სტუდენტი საბოლოოდ სტანდარტულ შედეგებზე გავიდეს. კვალიფიკაციის მინიჭება არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ მიაღწევს სტანდარტულად განსაზღვრულ ყველა სწავლის შედეგს.

როდის ხდება რეკომენდაციის გაცემა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ

რეკომენდაციის გაცემა იმის თაობაზე, რომ პროფესიულ სტუდენტს სჭირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შესაძლებელია მოხდეს პროფესიული განათლების სხვადასხვა ეტაპზე - პროფესიული ორიენტაციის პროცესში, პროფესიული განათლების სისტემაში ჩარიცხვის ეტაპზე, პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუკი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვამდე ჩართული იქნება პროფესიული ორიენტაციის პროცესში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება შესაძლებელია გაცხადდეს ამ ეტაპზე, რადგან პროფესიული ორიენტაციის პროცესში, არა მხოლოდ პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირი ეცნობა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს, არამედ პროფესიული განათლების სისტემა ეცნობა პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირს და მის თავისებურებებს. იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტმა პროფესიული ორიენტაცია ერთ პროფესიულ სასწავლებელში გაიარა, ხოლო სწავლა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გააგრძელა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ეს ინფორმაცია გადაეცეს შესაბამისი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და ინკლუზიური პროფესიული განათლების

გუნდს და გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული პირის პროფესიული განათლების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში. ინფორმაციის გაცვლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის რეკომენდებულია მოხდეს პირის მიერ განვლილი პროფესიული ორიენტაციის და მისი შედეგების ამსახველი დოკუმენტაციის გაზიარების საფუძველზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება შესაძლებელია გამოვლინდეს პროფესიული განათლების სისტემაში ჩარიცხვის ეტაპზე, პროფესიული განათლების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განხორციელებული შეფასების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, პროფესიული განათლების მულტიდისციპლინური გუნდი პირის სიღრმისეული შეფასების საფუძველზე, მისი უნარებიდან გამომდინარე ვარაუდობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროებას. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ეტაპზე, რთულია დაზუსტება იმისა, რომ თუ რომელ სასწავლო მოდულთან მიმართებით იკვეთება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ინდივიდუალური სასწავლო მიზნები. ეს დაზუსტდება კონკრეტული მოდულის მიმდინარეობის პროცესში. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ პროფესიული განათლების მულტიდისციპლინურმა გუნდმა ერთმნიშვნელოვანი მითითება გასცეს სასწავლო პროცესის ინდივიდუალური გეგმით განხორციელების შესახებ. აღნიშნულს, იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუკი პირის შეფასებისას, მისი შესაძლებლობის გათვალისწინებით, ერთმნიშვნელოვნად გამოვლინდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება.

ასევე, დასაშვებია, რომ პირის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება პირველად გამოვლინდეს პროფესიული განათლების მიღების პროცესში. ამას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუკი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს არ გაუვლია პროფესიული ორიენტაციის პროცესი, ხოლო პროფესიული განათლების მულტიდისციპლინური გუნდს, პირის შეფასების პროცესში არ დაუფიქსირებია ერთმნიშვნელოვანი რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ.

ნებისმიერ შემთხვევაში, რეკომენდაციის გაცემა პირის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესახებ მიიღება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შესაძლებლობებსა და საჭიროებებში სიღრმისეულად გარკვევის საფუძველზე.

ვინ იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესახებ

საბოლოო გადაწყვეტილებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროების შესახებ, იღებს განათლების სამინისტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების მულტიდისციპლინური გუნდი და / ან პროფესიულ სასწავლებელში არსებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესის მხარდამჭერი გუნდი და მისი მასწავლებლები. ნებისმიერ შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გუნდი

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადის შემდეგ პროცედურებს:

(ა) ეცნობა იმ დოკუმენტაციებს და ჩანაწერებს, სადაც ასახულია რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ეს შესაძლებელია იყოს პირის პროფესიული ორიენტაციის და მისი შედეგების ამსახველი დოკუმენტი, პროფესიული განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის შეფასება და პროფესიული მასწავლებლის შეფასება);

(ბ) აკვირდება და აფასებს სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობას, მის ჩართულობას და პროგრესს;

(გ) ხვდება სტუდენტის ყველა მასწავლებლებს, ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდს და მათთან ერთად განიხილავს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში გამოვლენილ სირთულეებს და საჭიროებებს.

ხაზგასასმელია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება უნდა განიხილებოდეს თითოეულ პროფესიულ მოდულთან მიმართებით. ერთ მოდულთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მექანიკურად არ უნდა ვრცელდებოდეს სხვა პროფესიულ მოდულებზე.

ამავდროულად, მიზანშეწონილია, რომ გადაწყვეტილების მიღება კონკრეტული მოდულის ადაპტირების თაობაზე მოხდეს მოცემული მოდულის დაწყების შემდეგ, მას მერე, რაც სტუდენტი ჩაერთვება მოდულით განსაზღვრულ აქტივობებში და გაცხადდება მისი საჭიროებები მოცემულ მოდულთან მიმართებით.

როდის მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ და როდის იწყება მასზე მუშაობა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება (თუკი ეს მანამდე არ არის განსაზღვრული) და მასზე მუშაობის დაწყება მიზანშეწონილია მოდულის დაწყებიდან შემდგომ დაგვარად მოკლე დროში მოხდეს, თუმცა, აღნიშნულ დროში მასწავლებლის მხრიდან უნდა მოესწროს სტუდენტის შესაძლებლობებში სიღრმისეული გარკვევა და არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწავლის დაწყების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელს ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდთან ერთად, ევალება სასწავლო პროცესში შეაფასოს სტუდენტის საჭიროებები და მიღებული შედეგები განიხილოს განათლების სამინისტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან.

აღნიშნული პროცედურების გასავლელად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მაქსიმუმ 14 კალენდარული დღე აქვს. მოცემული 14 კალენდარული დღის განმავლობაში პროფესიული განათლების მასწავლებელს სასწავლო ცხრილიდან გამომდინარე შესაძლებელია კვირაში მხოლოდ ერთხელ (ანუ ჯამში მხოლოდ ორჯერ) უწევდეს სტუდენტთან შეხვედრა. თუკი აღნიშნული დრო, მასწავლებელს და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ გუნდს არასაკმარისად მოეჩვენება სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად, მიზანშეწონილია მასწავლებელი და სპეციალისტები სტუდენტს დამატებით ხვდებოდნენ მისი სიღრმისეული შეფასების მიზნით. ამავდროულად, რეკომენდებულია, მასწავლებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებოდნენ სხვა მოდულის მასწავლებლებთან, რაც მათ დაეხმარებათ სტუდენტის საჭიროებებში უკეთ გარკვევაში.

იშვიათ შემთხვევაში, თუკი მოდული ხანმოკლეა, მაგ. ორი კვირა გრძელდება, მასწავლებელს ძალიან მოკლე დროში მოუწევს (ერთი კვირა) გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან მიმართებით.

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი ჩართული იყო ინტენსიური პროფესიული ორიენტაციის პროცესში და ის სწავლას იმავე პროფესიულ სასწავლებელში აგრძელებს, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მის შესაძლებლობებში კარგად არის გათვითცნობიერებული, შესაძლებელია კონკრეტული მოდულის მასწავლებლებს ნაკლები დრო დასჭირდეთ იმაში დასარწმუნებლად, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას საჭიროებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებელია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის და საჭიროების შემთხვევაში, მის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა. აუცილებელია, მათი პოზიციის გაზიარება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების დადგენის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილების სასარგებლო მხარეზე განმარტების მიცემა და ამავდროულად, დაკავშირებული გამოწვევების განმარტება - მაგ. კვალიფიკაციის მიღწევის შესაძლებლობის შემცირების განხილვა.

შესაბამისად, აუცილებელია, სტუდენტის და მისი კანონიერი წარმომადგენლის მოწვევა აღნიშნული საკითხის განხილვისთვის ორგანიზებულ შეხვედრაზე. ამავე შეხვედრაზე, შესაძლებელია მსჯელობა და შეთანხმება იმაზეც, იქნება თუ არა საჭირო სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის ყოველ მოდულთან დაკავშირებულ შეხვედრაზე მოწვევა. აღნიშნული პოზიცია შესაძლებელია დაიწეროს შემაჯამებელი შეხვედრის ოქმის შენიშვნის გრაფაში.

შეხვედრაში სტუდენტის და მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის შემთხვევაში, აუცილებელია ოქმში შესაბამის გრაფებში დაფიქსირდეს მათი დასწრება და ხელმოწერები.

რის გათვალისწინებით განისაზღვრება ინდივიდუალური სწავლის შედეგები / ინდივიდუალური სასწავლო მიზნები

როგორც აღინიშნა, გადაწყვეტილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ მიიღება სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარულ დღეში. აღნიშნულ გადაწყვეტილებას უნდა მოყვეს შესაბამისი მიზნების დასახვა. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, შესაძლებელია სრულად არ მოხდეს ყველა სწავლის შედეგის მოდიფიკაცია, აკომოდაცია და ეს თანმიმდევრობით სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას განხორციელდეს.

გვახსოვდეს, რომ ხშირად არაეფექტურია სასწავლო პროცესის დასაწყისში სასწავლო მოდულის სრულად ადაპტირება და ყველა სწავლის შედეგის ერთიანად მოდიფიცირება, რადგან ამ შემთხვევაში, თითქმის შეუძლებელია მასწავლებელმა წინმსწრებით ზუსტად განსაზღვროს, თუ როგორი იქნება სტუდენტის მოსალოდნელი მიღწევის დონე ყველა სწავლის შედეგთან მიმართებით. აღნიშნული საჭიროება სასწავლო პროცესში თანმიმდევრულად გაცხადდება. ყოველი ახალი სასწავლო მიზნის დასახვას წინ უნდა უძღოდეს სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონის შეფასება. ანუ, ყოველი მომდევნო ინდივიდუალური მიზანი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ დაძლია სტუდენტმა მისთვის განსაზღვრული წინა მიზანი.

შესაბამისად, მართებულია პროფესიული განათლების მასწავლებელმა სასწავლო მოდულის ადაპტირება / მოდიფიცირება თანმიმდევრულად სასწავლო პროცესის მსვლელობისას განახორციელოს და სასწავლო პროცესის დასაწყისში მხოლოდ იმ სწავლის შედეგების ადაპტირება / მოდიფიცირებაზე იზრუნოს, რომელთა მიღწევაზე დროის მოცემულ მონაკვეთში იქნება ორიენტირებული.

შესაბამისად, რეკომენდებულია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ელექტრონული დოკუმენტის პროცესში წარმოება და მისი გაფართოება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პარალელურად. ამავდროულად, პროცესის მოხერხებულობისთვის, შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მიმდინარე მიზნების ამსახველი დოკუმენტის ამობეჭდილი ნაწილით ხელმძღვანელობდნენ. ოფიციალურ დოკუმენტად ის ვერსია უნდა ითვლებოდეს (ელექტრონული ან ამობეჭდილი), სადაც სტუდენტის სწავლის შედეგები/სასწავლო მიზნები სრულად და თანმიმდევრულად არის მოცემული.

დოკუმენტბრუნვის შიდა წესების გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება თავად უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას, ის სტუდენტის ინდივიდუალური გეგმის ოფიციალურ ვერსიას მხოლოდ ელექტრონულად აწარმოებს, თუ მატერიალური სახითაც უზრუნველყოფს (ანუ ბეჭდავს). ამავდროულად, უნდა გასაზღვრავდეს, ვის აქვს დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიაზე წვდომა, ვინ აახლებს მას, ანუ ვის შეაქვს ცვლილებები

ერთი ან სხვადასხვა მოდულის ფარგლებში მიზნების განსაზღვრის და დამატების შეთხვევაში. დოკუმენტზე წვდომა, აუცილებელია ჰქონდეს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს, რომელიც აღნიშნულ წვდომას შესაძლებელია საჭირო დროს უზიარებდეს პროფესიული განათლების მასწავლებელს ან მისგან მიღებულ ახალ მიზნებს თავად ასახავდეს არსებულ დოკუმენტში.

ანალოგიურად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოფიციალური ვერსიის შენახვის ვადას განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება დოკუმენტბრუნვის და საქმის წარმოების შიდა წესების გათვალისწინებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესის ამსახველი ოფიციალური დოკუმენტაცია, იმდენი ხნით და იმავე წესებით ინახება, რა წესებიც არსებობს დაწესებულებაში სტუდენტთა საქმის წარმოების და შენახვის სხვა შემთხვევებში.

როგორ ზუსტდება სტუდენტისთვის სწავლის შედეგები / სასწავლო მიზნები

სტუდენტისთვის ინდივიდუალური სწავლის შედეგი შესაძლებელია განისაზღვროს მისი სხვადასხვა კომპონენტის დაზუსტებით. კერძოდ, შესაძლებელია დაზუსტდეს, როგორც შესრულების კრიტერიუმი, ისე კომპეტენციის პარამეტრი. ამ ორი კომპონენტის დაზუსტებამ შესაძლებელია გამოიწვიოს თავად სწავლის შედეგის - რეფორმულირების, დაზუსტების საჭიროება რაც გამოიწვევს სტუდენტისთვის მიწოდებული სასწავლო თემების ცვლილებას. არ არის გამორიცხული, საჭირო გახდეს შეფასების ფორმების დაზუსტებაც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სწავლის შედეგების და მასთან დაკავშირებულ კომპონენტების დაზუსტებებს:

რა ზუსტდება	როგორ ზუსტდება
სწავლის შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • შესაძლებელია გახდეს უფრო კონკრეტული, სპეციფიური • შესაძლებელია დაემატოს დახმარების დონე • იშვიათ შემთხვევაში, შესაძლებელია მისი გამოტოვება, ანუ სტუდენტი არ იყოს მის მიღწევაზე ორიენტირებული
შესრულების კრიტერიუმი	<ul style="list-style-type: none"> • შესაძლებელია გახდეს უფრო კონკრეტული, სპეციფიური • შესაძლებელია აისახოს დახმარების დონე • იშვიათ შემთხვევაში, შესაძლებელია მისი გამოტოვება, ანუ სტუდენტი არ იყოს მასზე ორიენტირებული
კომპეტენციის პარამეტრი	<ul style="list-style-type: none"> • იშვიათ შემთხვევაში, შესაძლებელია ზოგიერთი კომპეტენციის პარამეტრის გამოტოვება, ანუ სტუდენტი არ მუშაობდეს აღნიშნული მიმართულებით

თემა	<ul style="list-style-type: none"> • კომპეტენციის პარამეტრების დაზუსტება ბუნებრივად გამოიწვევს სასწავლო თემების შესაბამისად დაზუსტების საჭიროებას
-------------	--

შესაძლებელია, სტუდენტისთვის ერთი მოდულის ფარგლებში დაზუსტდეს როგორც ყველა სწავლის შედეგი, ისე მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. ეს დამოკიდებული იქნება კონკრეტული სტუდენტისთვის (მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით) სწავლის შედეგების კომპლექსურობაზე.

თუკი სტუდენტისთვის დაზუსტდება მხოლოდ ერთი ან ორი სწავლის შედეგი, ინდივიდუალური გეგმის დოკუმენტში ინდივიდუალური სწავლის შედეგები აისახება იმ სტანდარტული სწავლის შედეგების ქვეშ, რომლებიც ზუსტდება. სხვა ყველაფერი უცვლელად დარჩება.

სად ხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ფორმულირებული სასწავლო მიზნების ასახვა

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის ინდივიდუალური სწავლის შედეგების და სხვა დაზუსტებების ასახვის შესაძლებლობებს. მოცემული ცხრილი სარეკომენდაციო ხასიათისაა და პროფესიული განათლების მასწავლებელს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად, შეუძლია მისი მოდიფიცირება - ცვლილება იმგვარად, რომ ის მათთვის უფრო ხელსაყრელი და გამოსაყენებლად მოსახერხებელი გახდეს.

თუმცა, მოდიფიცირების შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება შემდეგი პრინციპის გათვალისწინება: ცხრილი თვალსაჩინოდ ასახავდეს, როგორც სტანდარტულად სასწავლო მოდულში მოცემულ ჩანაწერებს, ისე ველებს, სადაც კონკრეტული სტუდენტისთვის დაზუსტდება მისთვის განსაზღვრული მიღწევის დონე. ეს სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულ გუნდს გაუიოლებს ინდივიდუალური ჩანაწერების ფორმირების პროცესს და ამგვარად, უფრო იოლად მოხდება შემდეგი პრინციპების დაცვა - მაქსიმალურად ორიენტირება სტანდარტულად განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე, სწავლის შედეგების ახალი ფორმულირებებისას მოდულის ენის გამოყენება, თვალსაჩინოდ წარმოჩენა, თუ რამდენად მიახლოებული ან დაშორებულია სტუდენტისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული სწავლის შედეგები სტანდარტულ შედეგებს.

შემოთავაზებულ ცხრილში, სტუდენტისთვის განსაზღვრული ჩანაწერები ჰორიზონტალურ რიგში აისახება შესაბამისი ველების ქვეშ (სწავლის შედეგების ქვეშ მოცემულ ველში

დაზუსტდება სტუდენტისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები, შესრულების კრიტერიუმის ქვეშ - შესრულების ინდივიდუალური კრიტერიუმი და ა.შ.).

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
<p>1. ღონისძიებების სათანადო აღჭურვილობისა და ინვენტარით მომსახურება, სამუშაო პროცესის კონტროლი</p>	<ul style="list-style-type: none"> ღონისძიების შესაბამისად შეუძლია მინის, ლითონის, ფაიფურის, ხის და თიხის ჭურჭლის შერჩევა; სტანდარტის შესაბამისად შეუძლია მინის, ლითონის, ფაიფურის, ხის და თიხის ჭურჭლის მომზადება (პოლირება); შეუძლია ღონისძიებების შესაბამისი აღჭურვილობით სწორად მომსახურება; შეუძლია სამუშაო პროცესის ორგანიზება ობიექტის ფუნქციონირების კონტროლი. 	<p>ჭურჭელი: რესტორნის ჭურჭელი, ჭიქები, დანა-ჩანგლის და სხვა აქსესუარები.</p> <p>აღჭურვილობა: სადილის მაგიდა დამხმარე მაგიდა, დამხმარე კარადა (სტეიშენი), ფურშეტის მაგიდა, კოქტეილის მაგიდა, ურიკები, რბილი ავეჯი (ავანდარბაზისთვის), ჟურნალების მაგიდა</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>
<p>აქ იწერება სწუდენტისთვის დაზუსტებული N1 სწავლის შედეგი</p>	<p>აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შესრულების კრიტერიუმები</p>	<p>აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები</p>	<p>აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შეფასების მიმართულება</p>
<p>2. სტანდარტების შესაბამისად სერვირება / სერვისის ტიპები</p>	<ul style="list-style-type: none"> სწორად ახორციელებს საუზმის სერვირებას; წესების დაცვით ახორციელებს ლანჩის სერვირებას; წესების დაცვით აკეთებს ვახშმის სერვირებას; წესების დაცვით შეუძლია რესტორნის სადამოს სერვირება; სტანდარტების დაცვით შეუძლია ალაკარტის სერვირება. 	<p>საუზმის სერვირება: ნაჭრის ხელსახოცები, პურისთეფში, კარაქის დანა, ჭიქა ცხელი სასმელისთვის, სადილის დანა-ჩანგალი, საუზმის დანა-ჩანგალი</p> <p>ლანჩის სერვირება: ნაჭრის ხელსახოცები, პურის თეფში, კარაქის დანა, ჭიქა ცხელი სასმელისთვის, სადილის დანა-ჩანგალი, საუზმის დანა-ჩანგალი, ჩაროზის დანა-ჩანგალი, წვნიანის კოვზი, წყლის ჭიქა, ხელსახოცები ნაჭრის</p> <p>ვახშმის სერვირება: პურის თეფში, ჩაროზის კოვზი და დანა-ჩანგალი, კარაქის დანა, საუზმის დანა-ჩანგალი, წყლის ჭიქა, ნაჭრის ხელსახოცი</p> <p>სადამოს სერვირება: სადილისა და საუზმის თეფში, სადილისა და საუზმის დანა-ჩანგალი, პურის თეფში და კარაქის დანა, ჩაროზის დანა-ჩანგალი, წყლის ჭიქა, თეთრი ღვინის ჭიქა, არყის ჭიქა, ნაჭრის ხელსახოცი, სამარილე-საპილპილე</p> <p>ალაკარტის სერვირება: სადილის დანა-ჩანგალი, პურის თეფში და კარაქის დანა, წყლის ჭიქა, სამარილე და საპილპილე, ნაჭრის ხელსახოცი</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>

აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული N2 სწავლის შედეგი	აქ ისერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შესრულების კრიტერიუმები	აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შეფასების მიმართულება
3. სტუმრის მომსახურებისათვის ბირითადი ფორმების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • მომსახურების დროს იცავს ფრანგული მომსახურების მეთოდებს და დგენილი სტანდარტის შესაბამისად; • მომსახურების დროს იცავს ინგლისური სერვირების მეთოდებს და დგენილი სტანდარტის შესაბამისად; • მომსახურების დროს იცავს რუსული სერვირების მეთოდებს და დგენილი სტანდარტის შესაბამისად. 	<p>ფრანგული სტანდარტი: ფრანგული სერვისის მიზანპლასი</p> <p>ინგლისური სერვირება: დამხმარე მაგიდა, ფაიფურის ჭურჭელი, გადმოსაღები ალკურვილოზა,(მაშა, ტანგსიდაა.შ), სადილის დანა-ჩანგალი</p> <p>რუსული სერვირება: სპეცმაგიდა, სუფრა, ნაჭრის და ქაღალდის ხელსახოცები, რესტორნის ჭურჭელი, ჭიქები, დანა-ჩანგლისა და სხვა აქსესუარები</p>	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული N3 სწავლის შედეგი	აქ ისერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შესრულების კრიტერიუმები	აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შეფასების მიმართულება

როგორც ზევით აღინიშნა, მოცემული ცხრილი თანმიმდევრულად ივსება სასწავლო პროცესის მსვლელობისას. მიმდინარე ეტაპისთვის სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დაეხმარება მასწავლებელს და სხვა პრაქტიკოსებს, მეტი სიზუსტით განსაზღვრონ მომდევნო სწავლის შედეგები.


როგორ ხდება სტუდენტისთვის ყოველი მომდევნო სწავლის შედეგის / მიზნის დასახვა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ყოველი მომდევნო სწავლის შედეგის დასახვა უნდა ხდებოდეს სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონის გათვალისწინებით; ანუ იმის მიხედვით, თუ როგორ დაძლია ან სძლევს სტუდენტი იმ სწავლის შედეგს, რომელზეც მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს მუშაობა.

ამავდროულად, არ არის აუცილებელი, წინა დასახული ინდივიდუალური სწავლის შედეგი სრულად იყოს მიღწეული და მასწავლებელმა მხოლოდ მას შემდეგ დასახოს მომდევნო მიზანი. შესაძლებელია, გარკვეული პროგრესის მიღწევის შემდეგ, მასწავლებელმა აქტუალურ ინდივიდუალურ სწავლის შედეგს დაამატოს ახალი სწავლის შედეგი და მათზე მუშაობა ერთდროულად წარმართოს. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი უნდა დაეყრდნოს თავის

პროფესიულ გამოცდილებას, სწავლის მოდულის სპეციფიკას და კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებს.

მოცემული დიაგრამა ასახავს პროცესს, რომელიც პრაქტიკოსებმა უნდა გაიარონ სასწავლო მიზნების დასახვისთვის.



მნიშვნელოვანია, პრაქტიკოსთა გუნდი ყოველი ახალი მიზნის დასახვამდე და მის ფორმულირებამდე, თვალსაჩინოდ ასახავდეს სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონეს, ანუ აწარმოებდეს შესაბამის ჩანაწერებს.

როდის ხდება სტუდენტისთვის მომდევნო ინდივიდუალური შედეგის / მიზნის დასახვა

რთულია ზუსტი რეკომენდაციის გაცემა იმის თაობაზე, თუ როდის უნდა მოხდეს ყოველი ახალი სასწავლო მიზნის დასახვა სტუდენტისთვის. ეს დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის: სასწავლო მოდულის დინამიკაზე, სტუდენტთა ჯგუფის პროგრესზე, მოცემული -მიმდინარე და მომავალი სწავლის შედეგების კომპლექსურობაზე, მათ შორის არსებულ კავშირზე / მიმართებაზე და ა.შ.

როგორც წესი, გამოცდილ პროფესიული განათლების მასწავლებელს, აქვს ზუსტი წარმოდგენა დროის ერთ მონაკვეთში რომელ სწავლის შედეგებზე უნდა მოხდეს მუშაობა და რა თანმიმდევრობის დაცვაა რეკომენდებული. მასწავლებელს აქვს ასევე მკაფიო ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ სწავლის შედეგებზე არის მიზანშეწონილი პარალელურად ანუ ერთდროულად მუშაობა და რომელი სწავლის შედეგები მოითხოვენ მკაცრად განსაზღვრულ თანმიმდევრობას. ასევე, ხშირად მასწავლებელმა მეტ-ნაკლები სიზუსტით იცის, თუ რა დრო დასჭირდება ამა თუ იმ სწავლის შედეგზე მუშაობას და როდის გადაიყვანს ის სტუდენტთა ჯგუფს ახალ ეტაპზე - ახალ სწავლის შედეგებზე სამუშაოდ.

გამომდინარე იქიდან, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან მიმართებით რთულია გარკვეული სიზუსტით წინასწარმეტყველება როდის დაძლევს ის მისთვის განსაზღვრულ ინდივიდუალურ სწავლის შედეგს, სტუდენტთა ჯგუფისთვის ყოველი ახალი სწავლის შედეგის დასახვის მომენტში მასწავლებელმა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს მათ მსგავსად გადაიყვანოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი ახალ ეტაპზე და დასახოს მისთვის ახალი ინდივიდუალური სწავლის შედეგი, თუ გააგრძელოს მიმდინარე სწავლის შედეგზე მუშაობა. ეს ბუნებრივია მოცემულ მომენტში სტუდენტის მიღწევის აქტუალურ დონეზე იქნება დამოკიდებული.

მასწავლებლის და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ნებისმიერი ერთობლივი გადაწყვეტილება უნდა იყოს საფუძვლიანი და არგუმენტირებული.

ამავდროულად, პრაქტიკოსთა გუნდი უნდა აცნობიერებდეს, რომ ნებისმიერ გადაწყვეტილებას თან ახლავს გამოწვევები, კერძოდ:

(ა) თუკი მასწავლებელი სტუდენტთა ჯგუფს ახალ სწავლის შედეგებზე გადაიყვანს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან ისევ გააგრძელებს იმავე სწავლის შედეგზე მუშაობას, მას ერთი შეხვედრის ფარგლებში მოუწევს ორი პარალელური პროცესის წარმართვა - სტუდენტთა მთელი ჯგუფისთვის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის. მასწავლებელი ამ გადაწყვეტილებას სავარაუდოდ მიიღებს იმ შემთხვევაში, თუკი, ის მოცემულ მომენტში სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონით არ დაკმაყოფილდება და ექნება განცდა, რომ მეტი გავარჯიშებით სტუდენტი შეძლებს შედეგის გაუმჯობესებას. ამ შემთხვევაში, ჯგუფისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიზნები და სწავლის პროცესი განსხვავებული იქნება.

(ბ) თუკი მასწავლებელი სტუდენტთა ჯგუფს მათი აქტუალური მიღწევების გათვალისწინებით ახალ სასწავლო მიზანს დაუსახავს და სასწავლო პროცესის ჰარმონიულად წარმართვის მიზნით, ახალ სწავლის შედეგზე გადაიყვანს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტსაც, ყველა სტუდენტი ერთი საგანმანათლებლო მიზნის ირგვლივ იქნება გაერთიანებული; თუმცა, შესაძლებელია, სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე სტუდენტის მიღწევა ისე არ გაუმჯობესდეს, როგორც ამას ექნებოდა ადგილი თუკი მასწავლებელი გააგრძელებდა წინარე სწავლის შედეგზე მასთან მუშაობას.

როგორი უნდა იყოს სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონის ამსახველი ჩანაწერი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონის ამსახველი ჩანაწერი თვალსაჩინოდ და ცხადად უნდა ასახავდეს, თუ რის შესრულება / კეთება შეუძლია სტუდენტს. გუნდმა შესაბამისი დრო უნდა დაუთმოს ჩანაწერის იმგვარ ფორმულირებას, რომ ის აბსოლუტური სიზუსტით ასახავდეს იმას, თუ რას, როგორ, რა ხარისხით, რა სახის დახმარებით, ტემპით და ა.შ. ახორციელებს სტუდენტი. სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონე შესაძლებელია აისახოს მისთვის დასახული ინდივიდუალური მიზნების გასწვრივ.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია მოხდეს მითითება, თუ რა ადასტურებს სტუდენტის მიღწევის აქტუალურ დონეს - მის მიერ შექმნილი პროდუქტი, სერვისი. შესაბამისად, მიზანშეწონილია ცხრილში დაზუსტდეს, თუ რა სახით და რა ფორმით შეიძლება აღნიშნული მტკიცებულებების ხილვა. მაგ. პორტფოლიოში მოცემული სურათების სახით, სახელოსნოში შენახული ექსპონატის სახით, შესრულების ვიდეო ჩანაწერის სახით და ა.შ.

სტანდარტული სწავლის შედეგი



ინდივიდუალური / დაზუსტებული სწავლის შედეგი



მიღწევის აქტუალური დონე

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება	სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონე
1. ღონისძიებების სათანადო აღჭურვილობისა და ინვენტარით მომსახურება, სამუშაო პროცესის კონტროლი	<ul style="list-style-type: none"> ღონისძიების შესაბამისად შეუძლია მინის, ლითონის, ფაიფურის, ხის და თიხის ჭურჭლის შერჩევა; სტანდარტის შესაბამისად შეუძლია მინის, ლითონის, ფაიფურის, ხის და თიხის ჭურჭლის მომზადება (პოლირება); შეუძლია ღონისძიებების შესაბამისი აღჭურვილობით სწორად მომსახურება; შეუძლია სამუშაო პროცესის ორგანიზება ობიექტის ფუნქციონირების კონტროლი. 	<p>ჭურჭელი: რესტორნის ჭურჭელი, ჭიქები, დანა-ჩანგლის და სხვა აქსესუარები.</p> <p>აღჭურვილობა: სადილის მაგიდა და მხმარე მაგიდა</p> <p>დამხმარე კარადა (სტეიშენი), ფურშეტის მაგიდა, კოქტეილის მაგიდა, ურიკები, რბილი ავეჯი (ავანდარბაზისთვის), ჟურნალების მაგიდა</p>	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	<ul style="list-style-type: none"> აქ იწერება სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონე N1 ინდივიდუალურ სწავლის შედეგთან მიმართებით; ივსება, სტუდენტის შეფასების საფუძველზე. აღნიშნული შეფასების საფუძველზე განისაზღვრება მომდევნო სწავლის შედეგი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ: სად და რა ფორმით შეიძლება მტკიცებულების ხილვა.
აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული N1 სწავლის შედეგი	აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შესრულების კრიტერიუმები	აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შეფასების მიმართულება	
2. სტანდარტების შესაბამისად სერვირება / სერვისის ტიპების	<ul style="list-style-type: none"> სწორად ახორციელებს საუზმის სერვირებას; წესების დაცვით ახორციელებს ლანჩის სერვირებას; 	<p>საუზმის სერვირება: ნაჭრის ხელსახოცები, პურისთევში, კარაქის დანა, ჭიქა ცხელი სასმელისთვის, სადილის დანა-ჩანგალი, საუზმის დანა-ჩანგალი</p>	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	<ul style="list-style-type: none"> აქ იწერება სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონე N1 ინდივიდუალურ სწავლის შედეგთან მიმართებაში; ივსება, სტუდენტის შეფასების საფუძველზე.

	<ul style="list-style-type: none"> • წესების დაცვით აკეთებს ვახშმის სერვირებას; • წესების დაცვით შეუძლია რესტორნის სადამოს სერვირება; • სტანდარტების დაცვით შეუძლია ალაკარტის სერვირება. 	<p>ლანჩის სერვირება: ნაჭრის ხელსახოცები, პურის თევში, კარაქის დანა, ჭიქა ცხელი სასმელისთვის, სადილის დანა-ჩანგალი, საუზმის დანა-ჩანგალი, ჩაროზის დანა-ჩანგალი, წვნიანის კოვზი, წყლის ჭიქა, ხელსახოცები ნაჭრის</p> <p>ვახშმის სერვირება: პურის თევში, ჩაროზის კოვზი და დანა-ჩანგალი, კარაქის დანა, საუზმის დანა-ჩანგალი, წყლის ჭიქა, ნაჭრის ხელსახოცი</p> <p>სადამოს სერვირება: სადილისა და საუზმის თევში, სადილისა და საუზმის დანა-ჩანგალი, პურის თევში და კარაქის დანა, ჩაროზის დანა-ჩანგალი, წყლის ჭიქა, თეთრი ღვინის ჭიქა, არყის ჭიქა, ნაჭრის ხელსახოცი, სამარილე-საპილპილე</p> <p>ალაკარტის სერვირება: სადილის დანა-ჩანგალი, პურის თევში და კარაქის დანა, წყლის ჭიქა, სამარილე და საპილპილე, ნაჭრის ხელსახოცი</p>		<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული შეფასების საფუძველზე განისაზღვრება მომდევნო სწავლის შედეგი • მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ: სად და რა ფორმით შეიძლება მტკიცებულების ხილვა.
<p>აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული N2 სწავლის შედეგი</p>	<p>აქ ისერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შესრულების კრიტერიუმები</p>	<p>აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები</p>	<p>აქ იწერება სტუდენტისთვის დაზუსტებული შეფასების მიმართულება</p>	

რასაკვირველია, მასწავლებლის და სასწავლო პროცესის ამოცანაა, მაქსიმალურად მიაახლოვოს სტუდენტი მისთვის დასახულ ინდივიდუალურ სასწავლო შედეგს. შესაბამისად, რაც უფრო იდენტური იქნება სტუდენტისთვის განსაზღვრული სასწავლო მიზანი და მისი მიღწევის აქტუალური დონის ამსახველი ჩანაწერი, მით უფრო წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს განხორციელებული სასწავლო პროცესი. თუმცა, დასაშვებია, რომ სტუდენტის მიღწევის აქტუალურ დონე არ ემთხვეოდეს მისთვის დასახულ სასწავლო მიზანს. ბუნებრივია, ამას ადგილი ექნება მაშინ, თუკი სტუდენტი ვერ მიაღწევს მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრულ სწავლის შედეგს.

მოდულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი აჯამებს სტუდენტის შედეგებს და წერს დასკვნას სტუდენტის მიერ სასწავლო მოდულის დამლევის შესახებ. **იხილეთ დანართი N4**

შეჯამების დასაწერად, მასწავლებელს დაეხმარება შემდეგი სარეფლექსიო კითხვები:

- რამდენ სწავლის შედეგზე იყო სტუდენტი ორიენტირებული?
- იყო თუ არა აღნიშნული სწავლის შედეგები სტუდენტისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული?
- როგორ მოხდა სტუდენტის მიერ მოცემული სწავლის შედეგების დაძლევა?
 - ❖ სტუდენტმა მისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები დაძლია სრულად თუ ნაწილობრივ?
 - ❖ რამდენად დაძლია სტუდენტმა სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგები? სრულად, თუ ნაწილობრივ?
- რამდენად განსხვავდება სტუდენტის მიღწევის დონე, სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის დონიდან?

დასკვნა:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმოების შიდა რეგულაციები

- სასწავლო მოდულის დაწყებამდე, მოდულის მასწავლებელი იღებს ამომწურავ ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტზე. ამისათვის ის ხვდება:
 - o ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერ გუნდს
 - o პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომლებსაც უკვე აქვთ აღნიშნული სტუდენტის სწავლების გამოცდილება
 - o საჭიროების შემთხვევაში, განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს.
- აღნიშნული შეხვედრების საფუძველზე მასწავლებელი ეცნობა სტუდენტის შესახებ არსებულ დოკუმენტაციას:
 - o მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნას - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღწერილობას და რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით;
 - o სტუდენტის მიღწევებს და შედეგებს სხვა მოდულების ფარგლებში (იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტს უკვე გავლილი აქვს სხვა მოდულები);
 - o სტუდენტის პორტფოლიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მის მიერ შექმნილ პროდუქტს
- ამავე შეხვედრების საფუძველზე მასწავლებელი იზიარებს გამოცდილებას სწავლების იმ სტრატეგიების შესახებ, რომლებიც ეფექტიანი ან პირიქით, ნაკლებ ეფექტიანად მუშაობს აღნიშნულ სტუდენტთან მიმართებით; ეცნობა რეკომენდებულ აკომოდაციებს და მათი გამოყენების გზებს.

შენიშვნა: მოდულის დაწყებამდე აღნიშნული შეხვედრების ორგანიზება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ვალდებულებაა. აღნიშნული სპეციალისტი აორგანიზებს შეხვედრას, იწვევს შეხვედრისთვის რელევანტურ მონაწილეებს და აოქმებს შეხვედრას. **იხილეთ დანართი NI - შეხვედრის ოქმის ნიმუში.**

შეხვედრას ხელს აწერს შეხვედრის ყველა მონაწილე.

- სასწავლო მოდულის დაწყების შემდეგ, მასწავლებელი სასწავლო პროცესის განხორციელების პარალელურად აკვირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს, მის ჩართულობას, თანამონაწილეობას და პროგრესს და იქმნის მკაფიო ხედვას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროებაზე.
- აღნიშნული დროის მანძილზე, მას აქვს უწყვეტი კომუნიკაცია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან, რომელიც ასევე ესწრება და აკვირდება სასწავლო პროცესს.

შენიშვნა: მასწავლებელი დაკვირვების შედეგებს აფიქსირებს შესაბამის ანკეტაში. ამ ანკეტას მიზანშეწონილია იყენებდნენ ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდის წევრებიც (სპეციალისტი, ასისტენტი), სტუდენტის სასწავლო პროცესზე დაკვირვებისას. მიზანშეწონილია დაკვირვების შედეგები ჯამდებოდეს ერთ ანკეტაში ან ინახებოდეს ორი ცალ-ცალკე დოკუმენტის სახით, სადაც ნათლად იქნება მითითებული, თუ ვის მიერ იყო დაკვირვება წარმოებული. **იხილეთ დანართი N2 - დაკვირვების შედეგების ამსახველი ანკეტა.**

- მოდულის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა, მოდულის მასწავლებელი და ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდი იკრიბება და დოკუმენტურად აფორმებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შესახებ (აღნიშნული შეხვედრა შესაძლებელია არ შედგეს, თუკი აკომოდაციების და ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დასახვის საჭიროება არ გამოვლინდა).
- შეხვედრაზე მასწავლებელი მოდის მომზადებული და მოაქვს ჩანაწერები სტუდენტის ჩართულობაზე, თანამონაწილეობაზე და პროგრესზე.
- შესაბამის დოკუმენტაციას და დაკვირვების შედეგებს წარადგენს ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდიც.
- აღნიშნული ჩანაწერების საფუძველზე, გუნდი იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების თაობაზე. კერძოდ, საჭიროებს თუ არა სტუდენტი სასწავლო მოდულის ადაპტაციას - აკომოდაციას და / ან მოდიფიკაციას; საჭიროებს თუ არა სტუდენტი დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, რესურსს.
- აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გუნდი იწყებს ინდივიდუალურ გეგმაზე მსჯელობას - განსაზღვრავს საჭირო აკომოდაციებს და / ან ახდენს აქტუალური სწავლის შედეგების მოდიფიკაციას. მიღებული გადაწყვეტილებები აისახება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტში.
- გუნდი თანხმდება მომდევნო შეხვედრაზე ან იღებს გადაწყვეტილებას შეიკრიბოს გამოვლენილი საჭიროების საპასუხოდ.

შენიშვნა: აღნიშნული შეხვედრების ორგანიზება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ვალდებულებაა. აღნიშნული სპეციალისტი აორგანიზებს შეხვედრას, იწვევს შეხვედრისთვის რელევანტურ მონაწილეებს და აოქმებს შეხვედრას.

შეხვედრას ხელს აღწერს შეხვედრის ყველა მონაწილე.

ოქმი წარედგინება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას და დასტურდება ადმინისტრაციის წარმომადგენლის ხელმოწერით. აღნიშნული ხელმოწერით ადმინისტრაცია გამოხატავს ინფორმირებულობას და თანხმობას მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

ადმინისტრაციამ შესაძლებელია, დამატებით მიიღოს შიდა ინსტიტუციური გადაწყვეტილება, ხელმოწერით დაადასტუროს სტუდენტისთვის შემუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო მიზნების ამსახველი ჩანაწერები. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დოკუმენტი განიცდის მუდმივ ცვლილებას და განვითარებას, აღნიშნულის განხორციელება არასავალდებულოა.

იხილეთ დანართი N3 - შემაჯამებელი შეხვედრის ოქმის ნიმუში

- სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდი ინარჩუნებს უწყვეტ კონტაქტს მასწავლებელთან - ესწრება სასწავლო პროცესს, აკვირდება სტუდენტის პროგრესს, გამოყენებული აკომოდაციების და მოდიფიკაციების ეფექტურობას.
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი მასწავლებელთან ერთად:
 - o აჯამებს და შესაბამის დოკუმენტში წერილობით აყალიბებს სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონის ამსახველ ჩანაწერს;
 - o განსაზღვრავს ახალი სასწავლო მიზნების დასახვის საჭიროებას;
 - o ახდენს სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგის მოდიფიცირებას და განსაზღვრავს ახალ ინდივიდუალურ სასწავლო მიზანს (ახდენს მის ფორმულირებას)
- სასწავლო მოდულის დასასრულს, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩანაწერი უნდა სრულად ასახავდეს იმ სწავლის შედეგებს რომელზეც სასწავლო მოდულის მსვლელობისას განხორციელდა მუშაობა და სტუდენტის მიღწევის აქტუალურ დონეს ყოველ სწავლის შედეგთან მიმართებით.

დანართი N1 - შეხვედრის ოქმი

დანართი N2 - დაკვირვების შედეგების ამსახველი ანკეტა

დანართი N3 - შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი

დანართი N4 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დანართი N1

შეხვედრის ოქმი

რიცხვი / თვე / წელი ----- / ----- / -----	
შეხვედრის მიზანი -----	
შეხვედრის ორგანიზატორი	
სახელი / გვარი -----	
პოზიცია -----	
მონაწილე პირები	
პოზიცია*	სახელი / გვარი
-----	-----
-----	-----
-----	-----
განხილული საკითხები	
შეჯამება / გადაწყვეტილება	
შენიშვნა:	
* შესაძლებელია დაზუსტდეს, რატომ არის მოცემული მონაწილე შეხვედრაზე მოწვეული, მაგ. კონკრეტულ მასწავლებელს აქვს სტუდენტის სწავლების გამოცდილება	

დანართი N2

დაკვირვების შედეგების ამსახველი ანკეტა

- ✓ ანკეტის მიზანია სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობის შეფასება
- ✓ გაეცანით ანკეტის შინაარსს და გთხოვთ, შეავსოთ ანკეტა აპლიკანტზე / სტუდენტზე რეგულარული დაკვირვების შედეგად
(ანკეტა შესაძლებელია შეივსოს როგორც ყოვლდღიურად, ისე, გახანგრძლივებული მაგ. 2 კვირის განმავლობაში წარმოებული დაკვირვების შედეგად)
- ✓ გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ყოველ გრაფაში და დაამატეთ კომენტარი.

შევსების თარიღი	რიცხვი / თვე / წელი ----- / ----- / -----
სტუდენტის სახელი / გვარი	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
მოდული	
მასწავლებელი	

მასწავლებლის / სპეციალისტის დასკვნა:

- ✓ გთხოვთ, შეაჯამოთ სტუდენტის დაკვირვების შედეგები
- ✓ გთხოვთ, გააკეთოთ დასკვნა სტუდენტის სასწავლო პროგრესთან დაკავშირებით
- ✓ გთხოვთ, აღწეროთ სტუდენტის საჭიროებები და გამოწვევები

დებულებების სვეტი	მონიშნეთ შესაბამისი დებულება	კომენტარი <small>(გთხოვთ, ყველა ასპექტთან მიმართებით გააკეთოთ აღწერითი ჩანაწერი)</small>
სტუდენტი კონცენტრირებულია სასწავლო პროცესზე	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტისთვის გასაგებია სტანდარტული ფორმით მიცემული ინსტრუქციები	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა	

სტუდენტისთვის გასაგებია ადაპტირებული ფორმით მიცემული ინსტრუქციები	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტი ავლენს ინტერესს, ინიციატივას შესასრულებელი დავალების / აქტივობის მიმართ	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ზოგჯერ <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტი ცდილობს, ინსტრუქციების შესრულებას, დემონსტრირებული დავალებების გამეორებას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ზოგჯერ <input type="checkbox"/> არა	
საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტი სვამს შეკითხვებს, ითხოვს დამატებით ინფორმაციას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ზოგჯერ <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტი დავალების / ინსტრუქციის შესრულებისას საჭიროებს სტანდარტულზე მეტ დახმარებას	<input type="checkbox"/> სისტემატიურად <input type="checkbox"/> მხოლოდ ახალი დავალების მიცემისას <input type="checkbox"/> მხოლოდ ზოგიერთი დავალების შემთხვევაში <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტს სჭირდება (შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)	<input type="checkbox"/> ფიზიკური დახმარება <input type="checkbox"/> სიტყვიერი მინიშნება <input type="checkbox"/> ფიზიკური მინიშნება <input type="checkbox"/> ნიმუშის ჩვენება <input type="checkbox"/> ინსტრუქციის / დავალების გამარტივება <input type="checkbox"/> ინსტრუქციის / დავალების დანაწევრება <input type="checkbox"/> ინსტრუქციის/ დავალების განსხვავებული ფორმით მიწოდება <input type="checkbox"/> ინსტრუქციის მრავალჯერადი გამეორება <input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დააზუსტოთ)	
სტუდენტი საჭიროებს	<input type="checkbox"/> მუდმივ სუპერვიზიას <input type="checkbox"/> საშუალო ინტენსივობის სუპერვიზიას <input type="checkbox"/> მინიმალურ სუპერვიზიას	
სტუდენტი ითვალისწინებს მიღებულ უკუკავშირს	<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> ცდილობს გათვალისწინებას <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტი ბოლომდე ასრულებს მიღებულ დავალებას (იგულისხმება როგორც სტანდარტული, ისე მისთვის მორგებული)	<input type="checkbox"/> ყოველთვის <input type="checkbox"/> საჭიროებს სუპერვიზიას დავალების დასასრულებლად <input type="checkbox"/> ვერ ასრულებს მიღებულ დავალებას	
სტუდენტი სწორად განსაზღვრავს დახმარების საჭიროებას, ითხოვს დახმარებას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ზოგჯერ <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტის მიერ სასწავლო დავალების შესრულება	<input type="checkbox"/> შესაბამება სტანდარტით დადგენილ მოხონებს <input type="checkbox"/> ოდნავ განსხვავდება სტანდარტით დადგენილი მოხონებისგან <input type="checkbox"/> საკმაოდ ჩამორჩება სტანდარტით დადგენილ მოხონებს <input type="checkbox"/> მნიშვნელოვნად ჩამორჩება სტანდარტით დადგენილ მოხონებს <input type="checkbox"/> არ შეუძლია შესრულება	

<p>სტუდენტს შეუძლია სხვის მიერ დაგეგმილი აქტივობების/განრიგის მიყოლა/თავად დაგეგმვა</p>	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა	
<p>სტუდენტს შეუძლია აქტივობის შესრულების ტემპის რეგულაცია</p>	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა	
<p>სტუდენტის მიერ საკუთარი ნამუშევრის შეფასება/რეფლექსია</p>	<input type="checkbox"/> შესაბამისია <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისია <input type="checkbox"/> შეუსაბამოა <input type="checkbox"/> სხვა ----- <i>(გთხოვთ, დააზუსტოთ)</i>	
<p>სტუდენტს შეუძლია მუშაობა <i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<input type="checkbox"/> წყვილში <input type="checkbox"/> ჯგუფში <input type="checkbox"/> ინდივიდუალურად <input type="checkbox"/> მასწავლებელთან ერთად	
<p>სტუდენტი უპირატესობას ანიჭებს მუშაობას <i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<input type="checkbox"/> წყვილში <input type="checkbox"/> ჯგუფში <input type="checkbox"/> ინდივიდუალურად <input type="checkbox"/> მასწავლებელთან ერთად	
<p>სტუდენტისთვის ეფექტურია მუშაობა <i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<input type="checkbox"/> წყვილში <input type="checkbox"/> წგუფში <input type="checkbox"/> ინდივიდუალურად <input type="checkbox"/> მასწავლებელთან ერთად	
<p>სტუდენტი უკეთ ითვისებს მასალას, როდესაც: <i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<input type="checkbox"/> ისმენს <input type="checkbox"/> უყურებს თუ როგორ სრულდება <input type="checkbox"/> კითხულობს წერილობით მოცემულ ინფორმაციას <input type="checkbox"/> ეძლევა გამოსახულების / ების სახით (მოცემულია ვიზუალურად) <input type="checkbox"/> საკითხავი მასალა მოცემულია ცხრილების ან დიაგრამების სახით <input type="checkbox"/> მასალა დანაწევრებულია მცირე მონაკვეთებად	
<p>სტუდენტი უკეთ გადმოსცემს ნასწავლ მასალას <i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<input type="checkbox"/> ვერბალურად (თხრობით) <input type="checkbox"/> წერილობით <input type="checkbox"/> ტექსტური დავალებით <input type="checkbox"/> პრაქტიკული დემონსტრირებით <input type="checkbox"/> ვიზუალური დამხმარე მასალის გამოყენებით <input type="checkbox"/> სხვა ----- <i>(გთხოვთ, დააზუსტოთ)</i>	
<p>სტუდენტი საჭიროებს დამატებით რესურსს</p>	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> არ ვიცი	
<p>სტუდენტი იცავს სასწავლო გარემოში და პროცესში დადგენილ ქცევის წესებს</p>	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	

სტუდენტი მოქმედებს უსაფრთხოების წესების დაცვით	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტი ავლენს საჭირო ფიზიკურ გამძლეობას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტი ხელსაწყოებს / მოწყობილობებს იყენებს დანიშნულებისამებრ	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტი ავლენს დროის მენეჯმენტის უნარს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტი დამოუკიდებლად სარგებლობს საჯარო ტრანსპორტით	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
სტუდენტი დამოუკიდებლად გადაადგილდება/ფუნქციონირებს სასწავლო გარემოში	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
<p>მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია: მოცემულ გრაფაში შესაძლებელია აისახოს ინფორმაცია სტუდენტის მასწავლებელთან და თანაჯგუფელებთან ინტერაქციის, ემოციების გამოვლენის და მართვის თავისებურებებზე და ა.შ.</p>		

გთხოვთ, დაუბუნდეთ პირველ გვერდს და გააკეთოთ დასკვნა / შეჯამება სტუდენტის ძლიერი მხარეების და საჭიროებების შესახებ.

დანართი N3

შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი

რიცხვი / თვე / წელი ----- / ----- / -----		
შეხვედრის მიზანი -----		
შეხვედრის ორგანიზატორი		
სახელი / გვარი -----		
პოზიცია -----		
მონაწილე პირები		
პოზიცია ----- ----- -----	სახელი / გვარი ----- ----- -----	
განხილული საკითხები		
მაგ.		
<ul style="list-style-type: none"> სტუდენტის სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების განხილვა. იხ. დანართი*; გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო მიზნების საჭიროებაზე; მსჯელობა რელევანტურ სასწავლო სტრატეგიებზე, საჭირო სერვისებზე; გადაწყვეტილების მიღება სასწავლო სტრატეგიებსა და სერვისებზე და ა.შ. 		
საურველია, ნარატიულად აღიწეროს გამოთქმული მოსაზრებები და მათი არგუმენტაცია		
შეჯამება / გადაწყვეტილება - მოცემული მოდულის ფარგლებში სტუდენტი საჭიროებს:		
სასწავლო პროცესის აკომოდაციას დადებითი პასუხის შემთვევაში დააკონტრეტეთ -----	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
ინდივიდუალური სწავლის შედეგების განსაზღვრას	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
დამატებით, მხარდამჭერ სერვისებს დადებითი პასუხის შემთვევაში დააკონკრეტეთ -----	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
ხელმოწერა		
პოზიცია ----- ----- -----	სახელი / გვარი ----- ----- -----	ხელმოწერა ----- ----- -----

ადმინისტრაციის ხელმოწერა

პოზიცია

სახელი / გვარი

ხელმოწერა

შენიშვნა:

** მნიშვნელოვანია, პროფესიული განათლების მასწავლებელმა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა შეხვედრაზე წარმოადგინონ შევსებული დაკვირვების ფორმა, რომელიც გახდება აღნიშნული ოქმის შემადგენელი ნაწილი.*

დანართი N4 ინდივიდუალური სასწავლო მიზნების ანკეტა

მოდული:	
სტუდენტი:	მასწავლებელი:
მოდულის დაწყების თარიღი: რიცხვი / თვე / წელი ----- / ----- / -----	მოდულის დასრულების თარიღი: რიცხვი / თვე / წელი ----- / ----- / -----

	სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება	მტკიცებულება	სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონე მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ: სად და რა ფორმით შეიძლება მტკიცებულების ხილვა.
სტანდარტული ჩანაწერი						
ინდივიდუალური ჩანაწერი						
სტანდარტული ჩანაწერი						
ინდივიდუალური ჩანაწერი						

სტანდარტული ჩანაწერი						
ინდივიდუალური ჩანაწერი						

შენიშვნა: მოცემულ ცხრილი გათვლილია სამი სწავლის შედეგის ასახვისთვის. ცხრილს დაამატეთ იმდენი რიგი (სტანდარტული და ინდივიდუალური ჩანაწერებისთვის), რამდენი სწავლის შედეგიც არის მოდულით გათვალისწინებული ან რამდენი სწავლის შედეგის ასახვაც დაგჭირდებათ.

დასკვნა: აღნიშნულ ველში იწერება მასწავლებლის შეჯამება სტუდენტის მიერ სასწავლო მოდულის დამლევის შესახებ. შეჯამების დასაწერად, მასწავლებელს დაეხმარება შემდეგი რეფლექსიის კითხვები:

- რამდენ სწავლის შედეგზე იყო სტუდენტი ორიენტირებული?
- იყო თუ არა აღნიშნული სწავლის შედეგები ინდივიდუალურად სტუდენტისთვის დაზუსტებული?
- როგორ მოხდა სტუდენტის მიერ მოცემული სწავლის შედეგების დამლევა?
 - სტუდენტმა მისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები დაძლია სრულად თუ ნაწილობრივ?
 - რამდენად დაძლია სტუდენტმა სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგები? სრულად, თუ ნაწილობრივ?
- რამდენად განსხვავდება სტუდენტის მიღწევის დონე, სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის დონიდან?

მასწავლებელი სახელი / გვარი -----	ხელმოწერა -----
---	--------------------